დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2024 წლის 20 მარტი**

დისციპლინური საქმე №35/24
ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2024 წლის 1 მარტის №35 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე საქმის განხილვისას მოქმედებდა მიკერძოებულად, მოპასუხე მხარის სასარგებლოდ.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 21 მაისს, -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- 2017 წლის 17 ნოემბრის -- -- აქტის ბათილად ცნობა.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება -- -- სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2018 წლის 3 ოქტომბერს.

-- სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 31 იანვრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

-- სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 31 იანვრის განჩინება -- -- საკასაციო წესით გაასაჩივრა 2019 წლის 12 აპრილს.

ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით 2019 წლის 19 აპრილს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით 2020 წლის 26 ივნისს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- -- 2021 წლის 19 თებერვლის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.

ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები.

იმისათვის, რომ მოსამართლის ქმედება მიჩნეულ იქნეს პირადი ინტერესით, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით განხორციელებულად, მოსამართლემ უფლებამოსილება ბოროტად უნდა გამოიყენოს ან/და ის უნდა მოქმედებდეს არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებულად, მას უნდა გააჩნდეს რაიმე პირადი ინტერესი ან უნდა მიიღოს სარგებელი კონკრეტული საქმიდან. თუ მოსამართლე დაუშვებს შეცდომას, მაგრამ დადგინდება, რომ იგი უფლებამოსილებას ახორციელებდა შინაგანი რწმენისა და კეთილსინდისიერების საფუძველზე, მიიჩნევდა, რომ მოქმედებდა მართლზომიერად და არ გააჩნდა პირადი ინტერესი, მაშინ აღნიშნული საფუძვლით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია.

მოსამართლის ვალია, სამოსამართლო მოვალეობები სასამართლო განხილვის ყველა მხარის თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართოს, მიკერძოებისა და დისკრიმინაციის გარეშე, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და ყოველი მხარისათვის სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფით.

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე საქმის განხილვისას მოქმედებდა მიკერძოებულად, მოპასუხე მხარის სასარგებლოდ.

საქმის მასალების, კერძოდ სასამართლო სხდომის ოქმისა და საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად, საჩივარში მითითებული გარემოებები არ დასტურდება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- წლიდან აღარ ახორციელებს მოსამართლის უფლებამოსილებას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- 2024 წლის 1 მარტის №35 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ყოფილი მოსამართლის - -- -- მიმართ.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი